სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
ა(ა)იპ - ბათუმის ხელოვანთა სახლი არგანი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 2012 წელი

წინამდებარე მემორანდუმით ერთის მხრივ "ბათუმის ხელოვანთა სახლი – არგანი"-ს (ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზატორი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის გიორგი გოგიბერიძის სახით (შემდგომში "არგანი") მეორეს მხრივ, სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის ერმილე მესხიას სახით (შემდგომში უნივერსიტეტი) აღიარებენ ურთიერთშეთანხმებისა და ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელობას საქართველოში კინემატოგრაფიის სფეროში მაღალი საგანმანთლებლო და სამეცნიერო სტანდარტების მქონე კადრების მომზადების საქმეში და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზნები და ამოცანები

1.1. განახორციელონ ერთობლივი, ურთიერთშეთანხმებული საქმიანობა, როგორიცაა: აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მომზადებისა და სტაჟირების ხელისშეწყობა, სასწავლო პროცესში სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცება, სწავლისა და კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება – ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზებისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობით.

მუხლი 2.ურთიერთთანამშრომლობის ფარგლები

2.1. მხარეები თანხმდებიან დასახული მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტის კინო ტელე მიმართულების სტუდენტებისთვის "არგანის" მიერ ორგანიზებული კინოფესტივალის პროცესში სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. "არგანი" იღებს ვალდებულებას:

3.1.1. უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ სასწავლო პრაქტიკის გავლა.

3.1.2. უნივერსიტეტის სტუდენტების და პროფესორ მასწავლებლებისთვის კინოფესტივალის მსვლელობისას პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი კინოჩვენებაზე და მასტერკლასი/ვორქშოფი თავისუფალი დასწრება. ეს ასევე ითვალისწინებს "არგანის" მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობასაც.

3.1.3. ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე უნივერსიტეტის სტუდენტების მოკლემეტრაჟიანი ფილმის წარდგენა (შერჩევის პროცესის გავლის შემდეგ). ასევე პარტნიორ კინოფესტივალებზე უნივერსიტეტის სტუდენტების მოკლემეტრაჟიანი ფილმების წარდგენაში დახმარება.
3.1.4. ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის მიერ ორგანიზებულ სემინარებში, კინო-გადაღების პრაქტიკულ ვორქშოფებში უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვა.
3.1.5. ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის საინფორმაციო/სარეკლამო მასალებში (კატალოგი, ბროშურები, პლაკატები, ბანერები და ა.შ.) უნივერსიტეტის ლოგოს განთავსება.

3.2. უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას:
3.2.1. უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობა ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალზე.
3.2.2. უნივერსიტეტის შესაბამისი უფლებამოსილი პირების (პრაქტიკის ხელმძღვანელები) და პროფესორების აქტიური თანამშრომლობა.
3.2.3. კინოფესტივალზე პრაქტიკის სახით ჩართული სტუდენტების უნივერსიტეტის ვიდეოკამერითა და სამონტაჟო კომპიუტერით უზრუნველყოფა, კინოფესტივალის ვიდეო-დღიურების და ფოტო-დღიურების მომზადების მიზნით.
2.3.4. ურთიერთშეთანხმებით ბათუმის კინოფესტივალის მიერ დაგეგმილი სემინარებისა და მასტერკლასებისთვის უნივერსიტეტის სასწავლო კაბინეტებისა და აუდიტორიების გამოყენება.
3.2.5. ბათუმის კინოფესტივალის შესახებ ინფორმაციის გავრცელება უნივერსიტეტის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით.

მუხლი 4. სხვა პირობები
4.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის ვადით.
4.2. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით. შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის თაობაზე 30 (ოცდაათი) დღით ადრე აცნობოს მეორე მხარეს მიმდინარე სასწავლო პროგრამებში და სამეცნიერო პროექტებში ჩართულ პირებზე უარყოფითი და შეუქცევადი შედეგების თავიდან აცილების მიზნით.
4.3. მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. თითოეულ მხარესთან ინახება ხელმოწერილი მემორანდუმის ერთი ეგზემპლარი.

ხელმოწერები

ა(ა)იპ "ბათუმის ხელოვანთა სახლი – არგანი"

გიორგი გოგიბერიძე
თავჯდომარე

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ერმილე მესხია
რექტორი